ალფა

საბანკო (საავანსო) გარანტია N GBG 01975/1

ქ.თბილისი

გაცემის თარიღი: 08.11.2018 წელი

გარანტი: სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (ს/კ 204568896);
პრინციპალი: შპს „ელექტროლუქსი“ ს/კ 405020178;
ბენეფიციარი: სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს/კ 204864548;
საგარანტიო თანხა: 27,500.00 (ოცდაშვიდი ათას ხუთასი) ლარი;
საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა: საბანკო გარანტია ძალაში შედის ბენეფიციარის მიერ პრინციპალის სს „საქართველოს ბანკის “ შემდეგ ანგარიშზე N GE33BG0000000000940781100 საავანსო თანხის სრულად ჩარიცხვისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე უპირობო და გამოუთხოვად საბანკო გარანტიის ბენეფიციართან წარდგენის შემდეგ ავანსის თანხა სრულად არ იქნება ჩარიცხული პრინციპალის აქ მითითებულ ანგარიშზე, საბანკო გარანტია გაუქმებულად ჩაითვლება.
საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა: 2019 წლის 09 თებერვლის ჩათვლით.
გარანტიის გაცემის საფუძველი: 2018 წლის 02 ნოემბერს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული N 1144/06 ხელშეკრულების თანახმად, საავანსო გადახდის უზრუნველყოფა.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: გარანტი კისრულობს უპირობო ვალდებულებას, წინამდებარე საბანკო გარანტიის პირობების გათვალისწინებით, ბენეფიციარისგან გადახდის პირველივე მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, გადაუხადოს მას თანხა ან/და თანხები, რომლებიც ჯამში არ აღემატება საგარანტიო თანხის (51,876.00 ლარი) ოდენობას.
გარანტიის თანხის მოთხოვნა: გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდა მოხდება მხოლოდ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით საავანსო გადახდასთან დადგენილი ვალდებულებათა შეუსრულებლობისას ან არასრული შესრულების შემთხვევაში. ბენეფიციარმა გარანტს უნდა წარუდგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი მოთხოვნა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა.
მოთხოვნა უნდა ჩაბარდეს გარანტს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N16, კანცელარიის სამსახურში, სამუშაო საათებში (09.00–დან 18:00–მდე). მოთხოვნის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება მოთხოვნის უშუალოდ გარანტისათვის ჩაბარების თარიღი. დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.
საგარანტიო თანხის შემცირება: ავანსის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების პროპორციულად. საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდება, ასევე, ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი საგარანტიო თანხების ოდენობით.
გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე წყდება:

- წინამდებარე გარანტიით განსაზღვრულ ვადაში ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობით;
- გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას. უარი ფორმდება წერილობით;
- საგარანტიო თანხის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველია გარანტსა და პრინციპალს შორის 2018 წლის 08 ნოემბერს გაფორმებული საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ N GBG 01975/1 გენერალური ხელშეკრულება.

კახაბერ დიასამიძე

გენერალური დირექტორი